



ადმოსავლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 22 თებერვალი, 2012 წელი

დრო: 16.00 -18.00 საათი

შეხვედრის ადგილი: ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო, ოთახი 103

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ციხელაშვილი
2. ნინო ლომჯარია
3. თამარ ჩუგოშვილი
4. დავით ნარმანია
5. ლია თოდუა
6. თემურ ვეკუა
7. ლალი დევიძე
8. მარინე სოლომონაშვილი

განსახილველი საკითხები

- წევრთა აღრიცხვის ფორმა და განახლებული მონაცემები
- ახალი წევრების მიღების პროცედურების და მოთხოვნების საბოლოო დადგენა
- პლატფორმის სამდივნო
- საკოორდინაციო საბჭოს სამოქმედო გეგმა
- კომუნიკაცია ევროკავშირის დელეგაციასა და საქართველოს ხელისუფლებასთან
- ადმოსავლეთ პარტნიორობის საგზაო რუკა (იხ. 23 თებერვალს ევროკავშირის დელეგაციის მოსაწვევი სამუშაო შეხვედრაზე)
- სხვა საკითხები (მიმართვა კომისარ ფულესთან, სამოქალაქო საზოგადოების პეტიცია, სამუშაო ჯგუფების შეხვედრები)

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ და კოორდინატორებს წარუდგინა მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგის მონახაზი - განსახილველ საკითხთა ჩამონათვალი. დამსწრეთა სრული შემადგენლობის თანხმობით წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის საგზაო რუქა

დღის წესრიგის პირველ საკითხად საბჭომ განიხილა აღმოსავლეთ პარტნიორობის საგზაო რუქის კონცეფცია, რაც საბჭოს ევროკავშირის დელეგაციამ გაუგზავნა განსახილველად 23 თებერვალს დაგეგმილი სამუშაო შეხვედრის წინ. ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახური ევროკომისიასთან ერთად პასუხისმგებელია აღმოსავლეთ პარტნიორობის საგზაო რუქის შემუშავებაზე. საგზაო რუქის კონცეფცია მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ინფორმირებას მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით და მათგან შესაბამისი რეკომენდაციების მიღებას.

აღნიშნულ კონცეფცია აერთიანებს ოთხ ძირითად საკითხს: 1. მიზნები, რომლებიც შეთანხმებული უნდა იყოს ევროკავშირსა და მის პარტნიორებს შორის; 2. რეფორმები, რომლებსაც პარტნიორი ქვეყნები გაატარებენ დასახული მიზნების მისაღწევად; 3. ის ინსტრუმენტები და მხარდაჭერის მექანიზმები, რომელთა გამოყენებასაც უზრუნველყოფს ევროკავშირი; 4. მიზნების, შედეგებისა და ვადების იდენტიფიცირება. გარდა ამისა, დოკუმენტი მოიცავს ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების კომპონენტებს. მრავალმხრივი ურთიერთობის კომპონენტი ატარებს ძირითადად ზოგად ხასიათს. ორმხრივი კომპონენტის ფარგლებში კი პარტნიორი ქვეყნები შეძლებენ საჭიროებიდან გამომდინარე თავად განსაზღვრონ პრიორიტეტული სფეროები და მიმართულებები.

საგზაო რუქის კონცეფციის მიმოხილვის შემდეგ, საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ დოკუმენტის წარმოდგენილი ვარიანტი მისაღებია ყველასათვის, თუმცა მათი აზრით სამოქალაქო საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი, საჭიროებს უფრო მეტ ყურადღებას, რადგან შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელია მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელება და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. ამასთანავე გასარკვევია, თუ რომელი თემატური ჯგუფების ფარგლებში შეიძლება წარიმართოს მუშაობა კონფლიქტებისა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე. საბჭო შეთანხმდა, რომ ამ საკითხებს აუცილებლად დააყენებდა ევროკავშირის დელეგაციასთან სამუშაო შეხვედრაზე.

კომუნიკაცია ევროკავშირის დელეგაციასა და საქართველოს ხელისუფლებასთან

საბჭოს შეხვედრაზე მეორე საკითხად განიხილეს საქართველოს ხელისუფლებასთან და ევროკავშირის დელეგაციასთან კომუნიკაციის თემა. საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წამომადგენელის ჰელგა პენდერის შეხვედრის შედეგები, რომელშიც ასევე მონაწილეობდა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული კოორდინატორი მანანა ქოჩლაძე. შეხვედრის დროს იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, როგორია: 1) ხელისუფლებასთან სტრუქტურული დიალოგის

შესაძლებლობა; ევროკავშირის მონაწილეობით, სამხრეთი დიალოგის ფორმატის აღდგენის საკითხი; და ევროკავშირთან (მის დელეგაციასთან საქართველოში) რეგულარული და პირდაპირი კომუნიკაციის საკითხი, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოების პოზიციას. 2) ევროკავშირის დელეგაციის მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისადმი, რომელშიც ევროკავშირის წარმომადგენლობა მოუწოდებს მთავრობას ხელი შეუწყოს მიმდინარე პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების, კერძოდ ეროვნული პლატფორმის, ჩართულობის უზრუნველყოფას და განავითაროს მათთან ინტერაქტიული და პოლიტიკური დიალოგი. ამ სახის მიმართვა, ევროკავშირის დელეგაციის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში გაეგზავნება საქართველოს მთავრობას.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული მიმართვის გაგზავნის შემდეგ, საკოორდინაციო საბჭოს შეუძლია თავად მოსთხოვოს ხელისუფლებას 1) შესაბამისი უწყებების წარმომადგენლების საკონტაქტო მონაცემები და მათი მუდმივი საკომუნიკაციო მზაობა და 2) ხელისუფლებასთან სტრუქტურული დიალოგის ფორუმი, მიმინუმ სამთვიანი ინტერვალებით, რომლის დროსაც საკოორდინაციო საბჭო მთავრობისაგან მოითხოვს: ა) წინმსწრებად ხელისუფლების სამოქმედო გეგმის გაცნობას აღმოსავლეთ პარტნიორობასთან დაკავშირებით, და ბ) უკვე განხორციელებული აქტივობებისა და მოცემული პერიოდისათვის აქტუალური თემების შესახებ ინფორმაციის მიღებას. საბჭოს წევრების აზრით, ეს მოთხოვნა სრულიად სამართლიანი და ბუნებრივია იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლება ანგარიშვალდებულია სამოქალაქო საზოგადოების წინაშე. გარდა ამისა, კონკრეტულ აქტუალურ საკითხებზე ერთმანეთის მოსაზრებების ცოდნა საინტერესო უნდა იყოს ორივე მხარისათვის.

აქვე აღინიშნა, სახელმწიფო მინისტრის, გიორგი ბარამიძის აპარატის გამოხმაურება, რომელთაც გამოხატეს მზადყოფნა მარტის დასაწყისში შეხვდნენ პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს. საბჭოს წევრებმა გადაწყვიტეს ჩამოაყალიბონ 1) იმ საკითხების სია, რომელთა შესახებაც ისაუბრებენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართულ პირველ შეხვედრაზე და 2) კონკრეტული სამოქმედო გეგმა შემდეგი შეხვედრებისათვის.

სამოქალაქო საზოგადოების პეტიცია

საკოორდინაციო საბჭომ შემდეგ საკითხად განიხილა სამოქალაქო საზოგადოების პეტიცია, კამპანია "ეს შენ გეხება"ს ფარგლებში, რომელიც მიმართულია პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების გადახედვისა და კანონში არსებული საფრთხეებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრისაკენ. ამ ეტაპისათვის, პეტიციის ხელმძღვანელი დაახლოებით 200-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის ეროვნული პლატფორმის 40მდე წევრი ორგანიზაცია. პარლამენტში უკვე შეტანილია კანონპროექტი კანონის შეცვლასთან დაკავშირებით, რომელიც ინიცირებული იქნა არჩევნების თემატიკაზე მომუშავე პლატფორმის წევრი ოთხი ორგანიზაციის მიერ. გრძელდება ქუჩის აქციები და საინფორმაციო კამპანია, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში, რაშიც აქტიურად არის ჩართული მედია. მიმდინარეობს შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების, საელჩოებისა და ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლებთან.

საბჭოზე აღინიშნა, რომ პეტიციებზე ხელმომწერი ზოგიერთი წევრი ორგანიზაციის მხრიდან გამოითქვა სურვილი და ინტერესი უფრო აქტიურად ჩართვის. საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა საკმაოდ ვრცლად იმსჯელეს აღნიშნულ კამპანიაში ევროენული პლატფორმის როლზე და იმ აქტივებებზე, რომელიც რელევანტურია აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტების განხორციელებისათვის და უშუალოდ უკავშირდება ამ მიმართულებით პლატფორმის წევრების საქმიანობას. ერთერთ ასეთ აქტივობად განხილული იქნა ამ თემის განხილვა შესაბამისი სამუშაო ჯგუფის შიგნით; მეორე ინიციატივა უკავშირდება საინფორმაციო ხასიათის წერილის ან მიზანია ევროკავშირის ინფორმირება მიმდინარე პროცესებისა და ამასთან დაკავშირებული სამოქალაქო აქტივობების შესახებ, და ამასთან, თხოვნა, რომ აღნიშნული თემა და ზოგადად საარჩევნო გარემო მთავრობასთან კომინიკაციისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად იქნას დაყენებული. მსჯელობის შემდეგ პლატფორმის წევრები შეთანხმდნენ, რომ ამგვარი მიმართვა ხელს შეუწყობს უფრო ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გააქტიურებას და სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილისათვის აქტუალური საკითხის ადვოკატირებას. საბჭომ გადაწყვიტა, რომ წერილი/მიმართვა დაიგზავნება პლატფორმის წევრ ორგანიზაციებთან, და მათი მხარდაჭერის შემთხვევაში (წესდების თანახმად შემადგენლობის ნახევარზე მეტი), გაეგზავნება ევროკომისიას საქართველოს ეროვნული პლატფორმის სახელით.

წევრთა აღრიცხვის ფორმა და განახლებული მონაცემები

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა იმსჯელეს პლატფორმის წევრი ორგანიზაციების არსებული სიის, რეგისტრაციის ახალ ფორმებისა და მონაცემთა განახლების შესახებ. ძველი სიის მიხედვით, პლატფორმის წევრია 98 ორგანიზაცია, თუმცა აღმოჩნდა, რომ სია არასრულყოფილი და მოუწესრიგებელია. ორგანიზაციების გარკვეული ნაწილი პასიურია და მონაწილეობა არ მიუღია პლატფორმის მუშაობაში წინა წლის განმავლობაში. პრობლემატურია ასევე Google - ის საერთო ელ-ფოსტის საკითხი. როგორც აღმოჩნდა რეგისტრაციის ახალი ფორმები ორგანიზაციების თითქმის ნახევარს არ მიუღია, რადგან მათი ელ-ფოსტის მისამართები ან საერთო არ იყო მითითებული საერთო მონაცემთა ბაზაში, ან მითითებულ იყო არასწორი მისამართები.

რეგისტრაციის ახალი ფორმების მიღებისა და მონაცემთა განახლების პროცესი საკმაოდ რთულად წარიმართა. თავდაპირველად დათქმული საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ, წევრი ორგანიზაციების მხოლოდ ნაწილს ჰქონდა გამოგზავნილი შევსებული ფორმები. საბჭოს თავმჯდომარის კოორდინაციით, საჭირო გახდა ინდივიდუალური სატელეფონო კომუნიკაცია და განმეორებითი გზავნილებით ბევრი მათგანისათვის სარეგისტრაციო ფორმის თავიდან გადაგზავნა.

ამ ეტაპისათვის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს ელ-ფოსტის მისამართზე შემოვიდა 63 განახლებული მონაცემი. აქედან ორმა ორგანიზაციამ წერილობით უარი თქვა წევრობაზე, ხოლო ერთმა სატელეფონო საუბარში უარი განაცხადა პლატფორმასთან თანამშრომლობაზე. მიღებულ იქნა აგრეთვე სამი ახალი ორგანიზაციის განაცხადი წევრობაზე.

შემოსული განცხადებების მიხედვით, დგება ახალი სია, როგორც სამუშაო ჯგუფებისათვის, ასევე Google - ის ახალი საერთო ელ-ფოსტისათვის. სიის დასრულებისა და სრულყოფისათვის საჭირო ძველ სიაში აღრიცხული ყველა ორგანიზაციის გამომხმარებელ პლატფორმაში საქმიანობის გაგრძელების თანხმობით, ან წევრობაზე უარით. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სარეგისტრაციო ფორმების გამოგზავნისათვის მეორად საბოლოო ვადად განისაზღვრა 24 თებერვალი.

პლატფორმის სამდივნო

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა შემდეგ საკითხად განიხილეს პლატფორმის სამდივნოს თემა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ერთი თვით ისევ აგრძელებს სამდივნოს ბიუჯეტის ადმინისტრირებას, ამიტომ ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება ახალი სამდივნოს დაკომპლექტება. საიას ადმინისტრირების ვადის გასვლის შემდეგ კი სამდივნოს ფუნქციონირებისათვის მოსამზადებელი იქნება ახალი პროექტი, რომლითაც საბჭომ უნდა მიმართოს დონორებს. წინა გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლოა მომზადდეს კოალიციური პროექტი. გარდა სამდივნოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი რესურსებისა, მოსამდივნო ასევე სამუშაო ჯგუფების გამართული მუშაობისათვის საჭირო სახსრებიც. რაც შეეხება სამუშაო ჯგუფების შეხვედრის ადგილს, ევროპის სახლი კვლავ თანახმაა მიღოს სამუშაო ჯგუფების წარმომადგენლები უკვე შეთანხმებული პირობებით (საიას პროექტის ფარგლებში). 28 მარტამდე შესაძლებელია გაიმართოს ყველა ჯგუფის თითო შეხვედრა. კოორდინატორები შეთანხმდნენ ამ შეხვედრების ჩატარებაზე მიმდინარე პროექტის ფარგლებში.

ახალი წევრების მიღების პროცედურების და მოთხოვნების საბოლოო დადგენა

საბჭოს სხდომაზე ბოლო საკითხად მოკლედ განიხილეს ახალი წევრების მიღების პროცედურები და კრიტერიუმები. ამ ეტაპისათვის მიღებულია რამდენიმე ახალი ორგანიზაციის წევრობის განაცხადი (ჯერ კიდევ ძველი საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციონირებისა და პლატფორმის წესდების მიღებამდე). საბჭოს წევრებმა მიმოიხილეს მათთვის წინასწარ გაგზავნილი წევრობის კრიტერიუმები და შეთანხმდნენ, რომ მოთხოვნას რეკომენდატორების დასახელების შესახებ არ ჰქონდეს სავალდებულო ხასიათი. გადაწყდა, რომ შეთანხმებული წევრობის კრიტერიუმები განთავსდეს პლატფორმის ვებ-გვერდზეც, დაიგზავნოს ასევე პლატფორმის შიგნით და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს ახალი წევრების განაცხადების განხილვა და მათი პლატფორმაში გაწევრიანება.

საკოორდინაციო საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ ახალი წევრების მიღების პროცედურებზე და დღის წესრიგის სხვა განსახილველ საკითხებზე საბჭო იმსჯელებს შემდეგ შეხვედრაზე.

დაახლოებით ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ, საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

საბჭოს თავმჯდომარე: ქეთევან ციხელაშვილი

მდივანი: სალომე ბულია